ხობის მოამბე

№3 (7128) 15 მარტი,
ორშაბათი, 2021 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უკეთესი წესმყოფელია საკუთარის ყოველდღეობის საქმეებისა. საცა ადგილი დადგება, იქი ყველაფერს ხელეწიფება... ყოველი საგანმანათლებელი, რომელიც ერსმოდა ცოდნათ თუ ფიქრად დაიქმეოდა, ხალხი-ხალხისადი ანის ადგილიანი, რომ მოდგა და ანგარიშებია აღებული იყოს.“

გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ!

ქალბატონებო, გილოცავთ 8 მარტს–ქალთა საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს და ლამაზი დღეების სიმრავლეს.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და თავიანთი ღვაწლითა და განათლებით მტკიცედ იდგნენ ჩვენი სამშობლოს სადარაჯოზე. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, ქართველი ქალი კვლავაც რჩება გმირობისა და თავდადების ნიმუშად.

ძვირფასო ქალბატონებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს და თითოეულ თქვენგანს მინდა ვუსურვო წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატივისცემით, გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო ქალბატონებო! გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს–8 მარტს. ყველა ქალს გისურვებთ ბედნიერებას, კარიერულ წინსვლას და გარემოს, სადაც შეძლებთ თქვენი უფლებების სრულ რეალიზებას! მუდამ ბედნიერები, წარმატებულები, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსენი ყოფილიყავით. უმნიშვნელოვანესია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისა და საყოველთაო კეთილდღეობის მშენებლობის პროცესში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ, ყოველი დღე გაზაფხულივით ფერადი და ლამაზი გქონოდეთ.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

7 მარტი ეროვნული გმირის დაბადების დღეა

დღევანდელ დღეს, სიამაყესთან ერთად, ტკივილიც ახლავს. საქართველოს ეროვნულ გმირს, ღირსეულ მამულიშვილს, ჟიული შარტავას, დღეს 77 წელი შეუსრულდებოდა. გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს!

ჩვენი დროის გმირმა, ჟიული შარტავამ, სოხუმის გმირულად დაცვის დროს, ჭეშმარიტად ქართული, რაინდული სულისკვეთება გამოავლინა, როცა უმძიმესი განსაცდელის ჟამს, არ დატოვა ქალაქი, ბოლომდე იბრძოლა თანამემამულეთა–ქალაქის მცხოვრებთა გადასარჩენად, უყოყმანოდ შესწირა თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის საქმეს.

მოწამეობრივი აღსასრულით მან მომავალ თაობებს სამშობლოსთვის თავგანწირვის მაგალითი მისცა.

განუზომელია ჟიული შარტავას დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მაგრამ ამასთან, დიდია სიამაყის განცდა.

გმირები არ კვდებიან, ისინი სიცოცხლეს აგრძელებენ მარადიულად, ერის სახედ და ღირსებად გარდასახულნი.

მჯერა, ფუჭად არ ჩაივლის ჟიული შარტავას მიერ გაღებული მსხვერპლი, რადგან უკვდავია მისი ღვაწლი და საქმე.

ირაკლი ხახუბია,
საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.

პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი **ირაკლი ხახუბია** ხობის მუნიციპალიტეტის მერთან **გოჩა ქაჯაიასთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავასთან** ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა.

–შეხვედრაზე ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, ჩვენი მოქალაქეების წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე ვისაუბრეთ.

კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადე ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, პანდემიის პერიოდში გაწეული თავდაუზოგავი შრომისთვის.

ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, მაქსიმალურად ვეცდები, ხობელების წინაშე მდგარი პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინტენსიური კოორდინაციით.–შეხვედრის შემდეგ განაცხადა ირაკლი ხახუბიამ.

* * *

პარლამენტარი დაინტერესდა შავღელეში საჯარო სკოლის რეაბილიტაციის (სახელმეკრულებო ღირებულება 2 მილიონ 193 ათას ლარი) და პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესით, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შენდება და მისი ღირებულება 500 000 ლარია.

დეპუტატი ამ სამუშაოებზე დასაქმებულ ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა.

„კოლხური კოშკი“ ძველ ხიბულაში

„კოლხური კოშკი ძველ ხიბულაში“- ეს სახელი დაერქმევა სავარაუდოდ ამ დიდებულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ კომპლექსს. როგორც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რაც ამ ლამაზ სოფელში კეთდება, საქართველოს დამოუკიდებლობის მესაძირკვლის და პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა. დიდება ქრისტე მაცხოვარს, ხობის „თეთროსან“ ღვთისმშობელს, მართალ ლაზარეს ამ დიდი წყალობისთვის. მადლობა ბატონ ზვიადს უანგარო მსახურებისა და თავგანწირვისთვის, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების შემდგომაც ამართლებს იმას, რაც გვარში უწერია-გამსახურდია, გომსახურუდია(მეგრ.), ანუ გემსახურებოდითო. მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩვენი ოცნებების ასრულებისთვის, ამ შესანიშნავი კომპლექსის მშენებლობისთვის, შეგიწიროთ უფალი და მოგმადლოთ მშვიდობა და ჯანმრთელობა.

2 გვ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

* საქართველოს მთავრობის განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად 784 ათასი ლარი გამოეყო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის, საგვიჩიოს, ზემო ქვალონის, ნოჯიხევის, პატარა ფოთის, ქვემო ქვალონის, შავღელეს და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა.

* დასახლების საერთო კრება არის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

* დასახლების საერთო კრებებს და მოსახლეობასთან კონსულტაციებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკი ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

* მოქალაქეებმა ღია კენჭისყრით ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საპროექტო წინადადებებს დაუჭირეს მხარი.

* მუნიციპალიტეტის 32 სოფელში ჩატარდა დასახლების კრების სხდომა, ხოლო 16-ში გაიმართა მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაცია

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემადგენელი ნაწილია. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიებია: სარწყავი სისტემები; სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.); სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზები და გზისპირა მოსაცდელები; ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები; გარე განათება; სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილების რეაბილიტაცი.

დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად გაიმართება.

ხობის მუნიციპალიტეტში ახალსოფელი–შუა ხორგის დამაკავშირებელი 5.5-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 მილიონ 909 ათასი ლარია, რომელსაც შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, ნუკრი ხასიამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ დაათვალიერეს.

პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

„კოლხური კოშკი“ ძველ ხიბულაში

1 გვ.

ბატონ ბიძინას ძველ ხიბულაში ამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, მე შევხვდი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს გრიგოლს, მოვუყევი იმ იდეების შესახებ, რის განხორციელებაზეც ვოცნებობდით ათეული წლების მანძილზე ხობელი ეროვნულები და სწორედ მეუფის ლა ეროვნულს, სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებს. ჩვენმა მრავალი წლის დაუღალავმა მოშურნეობამ შედეგი გამოიღო.

ძმებო და დებო, გილოცავთ ჩემო კარგებო. ლაზარეს აღდგინებით უფალმა ჩვენი სამშობლოს აღდგენისა და გაბრწყინების იმედი მოგვცა. შეგვეწიოს ძველი ხიბულის

ლოცვა-კურთხევამ ჩაუყარა საფუძველი იმ აღმშენებლობას, რომელიც სოფელში მიმდინარეობს. მადლობა მეუფე გრიგოლს იმ დიდი ყურადღებისთვის, რომელსაც თქვენ იჩენთ არამარტო ამ კომპლექსის მიმართ. ჯანმრთელობას გისურვებთ და მრავალჟამიერ თქვენს მოღვაწეობას.

მადლობას ვუხდი სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრს ბატონ ალექსანდრე მოწერელიას, რომელმაც მისცა ბიძგი ამ საშვილიშვილო საქმეს.

მადლობა მშენებლებს, ასოციაცია „ატუს“ ტექნიკურ დირექტორს, ბატონ თენგიზ ჯიქიას, რომელიც კვირაში ერთხელ, როგორც წესი, თბილისიდან ჩამოდის ობიექტზე და ყურადღებას არ აკლებს.

მადლობა მშენებლობის უფროსს, შესანიშნავ პიროვნებას ბატონ ზაალ ნადირაძეს.

მადლობა ყველას, ვინც იღწვის მშენებლობაზე, ჩემს მეგობრებს-მანჩოს, დაზმირს, ვახოს, ბეჟანს, კოტეს და მრავალ სხვას. მინდა მივმართო ხობელ ეროვნულებს და ყველა სამართალი ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძრის მადლი. ჩვენი ტკბილი მაცხოვარი იესუ ქრისტე და ხობის „თეთროსანი“ ღვთისმშობელი შეგეწიოთ...

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა მოინახულა მართალი ლაზარეს აღდგინების სახელობის საეკლესიო კომპლექსი და დაათვალიერა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები.

აქ არის სახლი, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს ტრაგიკული მოვლენა გახდა კეთილმორწმუნე ნუგზარ (ხვიჩა) შონიას და მისი მეგობრების შთაგონების წყარო, რომ შეეძინათ ამ სახლის მიმდებარედ არსებული მამული, სადაც დღეს მიმდინარეობს საეკლესიო კომპლექსის მშენებლობა;

ამასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტი ამ სოფელში ახორციელებს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც სავარაუდოდ, კომპლექსთან ერთად დასრულდება.

ნუგზარ (ხვიჩა) შონია

წარმატებული ხობელები

ლალი ტიბუა

ლალი ტიბუა დაიბადა ქ. ხობში. 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ხობის 2 საშუალო სკოლა 1991 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტი და იმავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში. 2005 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „თეორემათა ავტომატური მტკიცების ზოგიერთი საკითხი“ პროფ. ხიმური რუხაიას ხელმძღვანელობით. მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი. 2006 წლიდან მუშაობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მათემატიკური ლოგიკისა და მეთოდოლოგიის განყოფილებაში და დღემდე მუშაობს ზემოთ აღნიშნულ სამეცნიერო ინსტიტუტის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიაში მეცნიერ თანამშრომლად. 2006 წელს პარალელურად მუშაობა დაიწყო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე და კითხულობდა სხვადასხვა სალექციო კურსებს: „დისკრეტული მათემატიკა და მათემატიკური ლოგიკა“, „კალკულუსი“ „ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“, „ლოგიკა იურისტებისათვის“ და ა.შ. მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში, როგორც მოწვეული ლექტორი.

2017 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლაში, როგორც მოწვეული ლექტორი. უძღვება მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის, დისკრეტული სტრუქტურისა და ფინანსური მათემატიკის კურსებს.

2018 წელს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში აირჩიეს ასოცირებულ პროფესორად ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე, მათემატიკის მიმართულებით და დღემდე მუშაობს ამ უნივერსიტეტში.

გარდა სასწავლო პროცესისა, აქტიურად ჩართულია სამეცნიერო მუშაობაში. მონაწილეობა აქვს მიღებული 100-მდე საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. არის 65 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. აგრეთვე მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში, როგორც ძირითადი შემსრულებელი. ის აგრეთვე მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმეებშიც. არის სტუდენტთა საერთაშორისო სკოლა-სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომელიც ყოველ წელს ტარდება თსუ-ში.

ის ეხმარება წარჩინებულ სტუდენტებს სამეცნიერო კავშირები დაამყარონ სხვადასხვა ქვეყნის წამყვან მეცნიერებთან. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები და მაგისტრანტები ამზადებენ საკურსო, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს

არის თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო სემინარის სწავლული მდივანი.

ლევან ღვინჯილიას ბლოგიდან

სოფელი

„საინტერესო და საქმიანი დღეები გველოდება“

გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ ძვირფასო ხობელებო, განსაკუთრებით ქალბატონებო, ბუნიობის მზე-მთვარეული საწყისი კიდევ ერთხელ შეუდგება სამყაროს დაძველებას და ჩვენ უნდა ვეცადოთ არ ჩამოვრჩეთ დროს და ვიყოთ აქტიურები, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს საუკუნე ბრძოლისა და სირთულეების საუკუნეა, სადაც ძლიერები და ჯანსაღად მოაზროვნეები გაიმარჯვებენ. უფალმა გამარჯვება და წინსვლები დაგვიბედოს.

ამ მცირე პროლოგის შემდგომ გადავიდეთ თქვენთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული პრობლემებისა, ხელისუფლება ახერხებს არ შეაჩეროს და ბოლომდე მიიყვანოს ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა განხორციელება დავაანონსეთ მიმდინარე წლისთვის.

დასრულდა სასაფლაომდე მისასვლელი ბეტონიზირებული გზა პირველ გურიფულში. ასევე, „სოფლის მხარდაჭერის“-პროგრამით, დასრულდება „გარე განათება“- ორივე გურიფულში. იგივე, შეიძლება ითქვას მეორე გურიფულში ჯერაც დაუსრულებელ ფეხბურთის სტადიონზე, რომელიც სულ მალე სრულყოფილად ჩაბარდება მოსახლეობას. წმინდა ნინოს ქუჩაზე (სასიორდიოს უბანში) პროექტირება დასრულდა და უახლოეს პერიოდში დაიწყება მშენებლობა ბეტონსაფრიანი გზის, შესაბამისი სანიაღვრე არხებითა და ბილიკებით. ეს გახლავთ ის ჩამონათვალი, რომელიც თვალსაჩინოდ აუცილებელია ჩვენი სოფლისთვის.

გაზაფხულდა, აუცილებელია გადავერთოთ საგაზაფხულო სამუშაოებზე და აგროვადების დაცვის მიზანშეწონილობით, ტექნიკის მობილიზებასა და სხვა საკითხებში შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მოსახლეობას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სოფლის მცხოვრებლები უმეტესად მისდევენ მესაქონლეობას, მალე დაიწყება აცრები რქოსან მსხვილფეხა ცხოველებზე, მსგავს ინექციერებებს წლებია ხელისუფლება უსასყიდლოდ თავაზობს მოქალაქეებს. აქაც აუცილებელია დროული და ეფექტური ჩართულობა.

გზადაგზა უამრავი საჭირბოროტო საკითხები წამოიჭრება, რომელთა გადაწყვეტისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და ვერცერთი ჩვენი ბენეფიციარი ვერ იტყვის იმას, რომ ჩვენ რამეს დავზარდით, ან ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში რაღაც დროულად არ გავაკეთეთ.

სწორედ ესაა ჩვენი ფუნქცია და საამისოდ მუდმივად მაჯაზე გვიდევს ხელი, რათა აუცილებელი კავშირი ხალხსა და მოსახლეობას შორის არ შენელდეს. დანარჩენს მომავალი გვანახებს, წინ საინტერესო და საქმიანი დღეები გველოდება!

ნანა გვასალია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ცისანა შარტავა: „პატრიარქი მთელი საქართველოს მამაა“

ქალბატონ ცისანა შარტავას ფესვები ჩვენი რაიონის სოფელ ზემო ქვალონიდან მოდის. მისი მამის კალისტრატე შარტავას ოჯახი ამ სოფლში ცხოვრობდა. როცა ბატონი კალისტრატე ხობის განათლების განყოფილების გამგედ, შემდეგ კი პარტიის რაიკომის პირველ მდივნად დაინიშნა, ოჯახი საცხოვრებლად ჯერ ხობში, შემდეგ კი სენაკში დამკვიდრებულა.

ხობის №1 საჯარო სკოლას, სადაც ბატონი ჟიული შარტავა სწავლობდა მინიჭებული ჰქონდა ჟიული შარტავას სახელი. ხობელები დღესაც სიამაყით იხსენებენ მათი ოჯახის თანადგომას და ესათუთებიან გმირის სახელს...

ქალბატონი ცისანა 28 წლის წინ, საპატრიარქომდე დიდმა ტრაგედიამ მიიყვანა. 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, სეპარატისტებმა მისი ძმა, საქართველოს ეროვნული გმირი, ჟიული შარტავა დახვრიტეს. მაშინ ოჯახს განსაკუთრებული თანადგომა პატრიარქმა გამოუცხადა და რაც მთავარია, ეკლესიამდე ბილიკი გაუკვალა.

დღეს, ბევრ წამყვან სპეციალისტთან ერთად, ცისანა შარტავა ერის სულიერი მამის ჯანმრთელობაზე ზრუნავს და ეს საკითხი, როგორც ყოველთვის, ბუნებრივია, დღესაც ძალიან აქტუალურია.

გთავაზობთ ქეთი კაპანაძის ინტერვიუს ქალბატონ ცისანა შარტავასთან.

გავრცელებული ინფორმაციით, საჭირო იყო მკურნალობის გერმანიაში გაგრძელება, თუმცა თავად პატრიარქმა საქართველოში, ქართველი ექიმების გარემოცვაში დარჩენა არჩია.

–ამ საკითხთან დაკავშირებით, ექიმების აზრის ჩამოყალიბება პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად ხდებოდა. თავიდან საუბარი გახლდათ სასწრაფო ოპერაციის აუცილებლობაზე და ქართველი ექიმების თქმით, სასურველი იყო საჭირო კვლევები და მკურნალობა ჩატარებულიყო გერმანიის იმ კლინიკაში, რომელშიც უკვე ერთი წელია, პატრიარქს ელიან. მაგრამ, თავად უწმიდესმა განაცხადა, რომ ურჩევნია, ქართველმა ექიმებმა უმკურნალონ. საბედნიეროდ, ამ სურვილის განხორციელება შესაძლებელი გახდა, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.მკურნალობას ქართველი ექიმები აგრძელებენ, თუმცა მოწვეული გვყავდა გერმანელი სპეციალისტი, რომელმაც მოიწონა და მთლიანად გაიზიარა ჩვენი ექიმების მიერ შერჩეული მკურნალობის ტაქტიკა. თუმცა, ზოგადად, გერმანიაში გამგზავრების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არაა. პატრიარქი პერიოდულად გეგმური კვლევებისთვის მიბრძანდება ხოლმე ამ ქვეყანაში.

როგორ დაიწყო თქვენი და პატრიარქის ურთიერთობა, როგორ გახდით უწმიდესის პირადი ექიმი?

–როცა ამბობენ, რომ პატრიარქის პირადი ექიმი ვარ, უხერხულობის შეგრძნება მაქვს. პატრიარქი თავად არის მთელი ერის ექიმი. მე, უბრალოდ, კოორდინაციას ვუწევ მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ გუნდური პრინციპით ვმუშაობთ. არსებობს გუნდი, რომელშიც შედის ყველა წამყვანი სპეციალისტი და ჩვენ ერთად ვხელმძღვანელობთ უწმიდესის მკურნალობას. ის ხომ მთელი საქართველოს მამაა.

როდის ჩაუდექით ამ საქმეს სათავეში და საპატრიარქოში როგორ მოხვედით?

–2001 წლის 7 მარტიდან. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჯერ სენაკში ვმუშაობდი, შემდეგ თბილისის I და VII საავადმყოფოებში, ასევე, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც დღემდე ვმუშაობ და უკვე 2001 წლიდან ვარ საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტში. თუმცა, საპატრიარქოში კიდევ უფრო ადრე, 23 წლის წინ მოვედი ძალიან ტკივილიანი და ცრემლიანი ამბით, რომელიც ჩემი ოჯახის ტრაგედიაა. აფხაზეთის ომის დროს, 27 სექტემბერს, სოხუმში, ჩემი ძმა დახვრიტეს. როცა მისი ცხედარი ჩამოასვენეს, სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი პატრიარქმა გადაიხადა. მაშინ ჩემს ოჯახს უმძიმესი წლები ჰქონდა და რომ არა პატრიარქის უდიდესი სიყვარული და თანადგომა, ჩემი ოჯახისადმი, არ ვიცი, როგორ გადავიტანდით ამ მძიმე წლებს. ამის შემდეგ გაიხსნა ჩვენი გზა ტაძრისკენ. პატრიარქი ჩვენი ოჯახის ნუგეში გახდა. ის ყველას, ვისაც სულიერი თუ ფიზიკური ტკივილი აწუხებს, გულის კარს უხსნის. ჩვენთვისაც შვება იყო მასთან თითოეული შეხვედრა. წლებმა ჩვენი ურთიერთობა გაამყარა.

რაც შეეხება საპატრიარქოში სამედიცინო კუთხით მუშაობის დაწყებას. ეს შემთხვევით მოხდა. გარკვეული კვლევის ჩატარება დასჭირდათ და ამ დროს, სრულიად შემთხვევით, მე იქ აღმოვჩნდი. ეს ყველაფერი გარემოებათა დამთხვევით დაიწყო და შემდეგ პატრიარქმა მაკურთხა, რომ ამ საქმისთვის მიმეხედა. საპატრიარქოში შეიქმნა სოციალური და ჯანდაცვის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამევალა. დღეს ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ვარ.

დღეს, მრავალწლიანი ურთიერთობის შემდეგ, პროფესიულის გარდა, ალბათ, სხვა, უფრო ღრმა დამოკიდებულებები გაკავშირებთ პატრიარქთან.

–რთულია ამაზე ლაპარაკი. როცა დღეს, ჩემს პატრიაქისადმი 28 წლის წინანდელ და დღევანდელ დამოკიდებულებებს ვადარებ, ვფიქრობ, როგორ ვბედავდი მაშინ მასთან ისე თამამად საუბარს. წლებთან ერთად, ჩემს თვალში ამ ბუმბერაზი ადამიანის სითბო და სიმაღლე იზრდება, რაც მის მიმართ მოკრძალებასაც ზრდის. უწმიდესს იმდენი აღმატებული თვისება აქვს, მასზე ასე, უბრალოდ საუბარი შეუძლებელია.

თავადაც აღნიშნეთ, პატრიარქი მთელი ერის ექიმიაო. რას ნიშნავს, იყო პატრიარქის ექიმი?

–ეცადო, რაც შეიძლება, ფაქიზად და ფრთხილად შეაშველო ხელი იმ ადამიანის ჯანმრთელობას, ვისაც თავი საკუთარი ხალხისთვის აქვს გადადებული, რათა ძალიან დიდხანს ემსახუროს ჩვენს ქვეყანას. უწმიდესი მთელ ერს საოცრად გვიფრთხილდება. 28-წლიანი ურთიერთობის განმავლობაში, უამრავი მაგალითი მაქვს მისგან გადარჩენილი – სულიერად თუ ხორციელად განკურნებული ადამიანების შესახებ.

ალბათ, ბევრი ხილული სასწაულის მომსწრე გამხდარ-ხართ...

–ძალიან ბევრის. მათ შორის, ჩემი ოჯახის ისტორიაცაა. ძმის დახვრეტის შემდეგ, მთელი ოჯახი უმძიმეს მდგომარეობაში ვიყავით. არ ვიცოდით, როგორ გაგვეგრძელებინა ცხოვრება. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემი მშობლების მდგომარეობა. უწმიდესთან შეხვედრის შემდეგ, სასწაული მოხდა. მან ისე აუხსნა მშობლებს ჩემი ძმის გარდაცვალების სულიერი ასპექტები, რომ მათი ცხოვრების სატანჯველი იმედმა შეცვალა. ამ გრძნობით მათ ტრაგედიის შემდეგ 15 წელი იცოცხლეს. პატრიარქის დამსახურებით, ეს წლები დედა ყოველდღე გრძნობდა, რომ შვილი მის გვერდით იყო. უწმიდესმა ამდენი წლის სიცოცხლე აჩუქა ჩემს მშობლებს და მთელ ოჯახს სულიერი სიმშვიდე მოგვიტანა. რაც მთავარია, ტაძრისკენ გაგვიკვალა ბილიკი.

გარდა ამისა, მახსენდება უამრავი ფიზიკურად განკურნებული ადამიანი. ჩემთვის უდიდესი სასწაული იყო ავადმყოფების ისტორია, რომელთაც აუცილებელი და გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდათ, მაგრამ უწმიდესთან რწმენით მოსვლის შემდეგ, აღმოჩნდებოდა, რომ ყოველგვარი ოპერაციის გარეშე დაამარცხეს დაავადება. მასთან მოსული უშვილო ოჯახები, პატრიარქის ლოცვის ძალით, მშობლები ხდებიან და ეს უდიდესი სასწაულია. ბევრი რამის გახსენება შეიძლება, თუმცა, ეს მხოლოდ წარსულის ისტორიები არაა, დღესაც ასე გრძელდება. მსგავს ფაქტებს ყოველდღე ვუყურებ და ვუსმენ.

–მასთან გატარებული წლებიდან ყველაზე რთულად რომელ პერიოდს გაიხსენებთ?

–ჩემთვის ყველაზე ტკივილიანი და მძიმე იყო 2008 წლის ნოემბერი და 2009 წლის იანვარი. 2008-ში უწმიდესს კარდიოლოგიური პრობლემები შეექმნა და გერმანიის კლინიკაში გარკვეული სამედიცინო ჩარევა დასჭირდა. 2009 წელს კი, სხვა მხრივ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. ეს იყო გაურკვეველი ეტიოლოგიის ინფექცია, თუმცა ღვთის შეწევნით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

როცა პატრიარქის ჯანმრთელობის შესახებ არასასურველი ინფორმაცია ვრცელდება, ბუნებრივია, მთელი ერი ძალიან განიცდის. პირადად მისი დამოკიდებულება როგორია, რამდენად მხნეა ასეთ ვითარებაში?

–პატრიარქი საოცარად ძლიერი, მშვიდი და მხნეა. ამიტომ, ყველაფერს ძალიან მშვიდად ხვდება. მე ვიტყოდი, კლდესავითაა და მის მშობლიურ, დარიალის კლდეებს შევადარებდი.

თქვენთვის რთული დღეები როდის იყო, როცა თავად დაგჭირდათ პატრიარქისგან მკურნალობა?

–ეს გამუდმებით ხდება. მე, როგორც ყველა, მისი წირვისა და ქადაგებების შემდეგ, საოცარ ძალას და მადლს ვგრძნობ. მისი ქადაგების შემდეგ, მრევლის ნებისმიერ წევრს რომ შეეკითხოთ, გეტყვით, რომ მან ამ ქადაგებიდან საკუთარი სატკივრის წამალი მიიღო.

ამაშია პატრიარქის სიდიადე. თითოეული მისი ქადაგება საოცარი სიბრძნისა და მადლის დიდი ნაზავია და მასთან ყოფნის ყოველი წუთი დიდი ზეიმია.

ნარმაჯებული ხობელები

ყოველთვის ბედნიერად მომღიმარი ყოფილიყავით!..

გაზაფხულის მობრძანებას დიდი ხანია დაასწრეს იებმა, ფურისულებმა, ცისთვალამ, ნარცისებმა, ტყემლის ხეებიც თეთრად გადაიპენტა...

მარტის დღესასწაულებმა მეხსიერებაში ნაცნობ ქალბატონებზე მოგონებები ამოატივტივა. მსურს ერთ ხეთელ მეცნიერ ქალბატონზე გესაუბროთ.

ხობში ალბათ კარგად ახსოვთ ახალგაზრდა პედიატრი ნონა კოდუა. მჯერა, ბევრი მათგანის შვილს მალამოდ მოსცხებია ავადმყოფობისას მის მიერ გამოწერილი წამლები, მოფერება, ტკბილი დარიგებები, რა საკვირველია, შედეგიც.

ხეთაში, ლილი კანკიასა და გული კოდუას ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ნონა. მათი მეზობლობა და მეგობრობა, ერთმანეთისადმი გამოწვდილი ხელების სითბო ალბათ ახსოვთ ხეთაში. ვინ მოსთვლის რამდენი ბავშვისთვის საყვარელი მასწავლებელი ყოფილა ქალბატონი ლილი. თბილი, კეთილი. მომთხოვნი, მაგრამ მათთვის საყვარელი და საუკეთესო მასწავლებელი. მართალია ნონას მშობლები ცოცხლები არ არიან, მაგრამ მათი ქალიშვილი ქალაქ თბილისში თუ ზაფხულობით ხეთაში ჩამოსული, ბევრი ხეთელისთვის და ხობელთათვის საჭირო და საყვარელი დამხვდურია. სიყვარულის, სითბოს გაცემა, ღიმილი და ერთგულება მისი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებებია, მისი ყოველდღიური ყოფის მეგზური. ის მისი ვალიც და პროფესიული მოწოდებაცაა.

ნონამ ხეთაში შექმნა ოჯახი, მისთვის საყვარელ ადამიანთან–ოთარ ჭითანავასთან. ასე, რომ ხეთა მისი ნავსაყუდელი ადგილია. მათ ორი ქალიშვილი ყავთ. უფროსი გოგონა ნინო დედის კვალს გაყვა, ექიმი გახლავთ. ქეთი ეკონომისტია.

ესწავლა და ეკეთებინა კეთილი საქმეები და თავიც გამოეჩინა. მჯერა ეს მისი მშობლების სურვილი და დამოძღვრა გახლდათ. ასეც მოხდა, მათი ერთადერთი ქალიშვილი ექიმი-მეცნიერი გახლავთ. მასზეა ნათქვამი: „საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“.

ნონა კოდუა 1949 წელს ხეთაში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა და სწავლის სურვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კარები შეაღებინა. პედიატრიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მისი დამთარების შემდეგ ექიმი-ინტერნი მუშაობას იწყებს ზუგდიდის ბავშვთა რაიონულ საავადმყოფოში, შემდეგ ხობში, რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად. მერე ის საცხოვრებლად და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გადადის. მუშაობას იწყებს პედიატრის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში კლინიკური ორდინატორის რანგში. შემდეგ მისი მეცნიერ-თანამშრომელია. ასევე სწავლული მდივანი... დღეს ის ამავე ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკის კარდიოლოგია.

ნონა 18 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც ძირითადად ეხება ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის დონის შემცირების პრობლემებს. არის საერო ინსტიტუტ „გაენათის“ დოცენტი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. მან საკანდიდატო დისერტაცია თემაზე–„სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალური რისკის ფაქტორების გავლენა ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ავადობაზე, პერინატალური და ბავშვთა სიკვდილიანობის დონეზე“ 1990 წელს დაიცვა. ასევე გახლავთ მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაცია „დედა და ბავშვი“ და საქართველოს პედიატრთა საზოგადოების წევრი.

ქალბატონო ნონა, მართალია, დიდი ხანია, არ მინახივხართ, მაგრამ მეც მახსოვს თქვენი ყურადღება და თანადგომა. ძალიან მახარებს თქვენი ყოველი წარმატება შინ და გარეთ.

მინდა მუდამ მომღიმარი და ბედნიერი მეუღლე, დედა და ბებია ყოფილიყოთ. ასევე იმედი, ნუგეში და თანამგრძნობი პატარა პაციენტთათვის.

გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს!

გასავლელი ჯერაც ბევრი აქვს

საამაყო ძალიან ბევრი აქვთ ხობელებს. აქ გაზრდილი შვილები სახელოვნად აგრძელებენ ოჯახის ლამაზ ტრადიციებს. გამორჩეულები გახლავთ თავიანთი განსწავლულობით და შორს გააქვთ ხობის სახელი. ისინი მართალია ხობელები არიან, მაგრამ დედაქალაქში ან სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში ცხოვრობენ...

ერთ-ერთი მათგანია იზა ბუკია. ის 1986 წელს პირველ მაისში, ძალზე ცნობილი პედაგოგის, მათემატიკოს კარლო ბუკიას ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მისი გზამკვლევი და მეგზური ახალგაზრდა მშობლები პედაგოგი ნინო ცხადაია და ინჟინერი გია ბუკია გახლავთ. ისინი სამივე შვილს მოძღვრავენ და გზას უკვალავენ წარმატებათა მოსაპოვებლად. იზა მათი უფროსი ქალიშვილია.

ისე გარბიან წლები, ადამიანი უკან მოხედვას ვერ ასწრებს. შენთვის პატარა ბავშვები მხედველობიდან გეპარება, ისინი ისე სწრაფად იზრდებიან, ვერც კი აცნობიერებ. მეგონა მათ ძალიან კარგად ვიცნობდი, ვახლობლობდი, მაგრამ ასე არ ყოფილა, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც იზას ცხოვრების ლამაზი წლებისა და მოღვაწეობის ნუსხას გადავავლე თვალი. ყოველმხრივ განათლებული, ნამდვილი ერუდიტი გახლავთ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, კლასიკური მუსიკის დიდი მოტრფიალეა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეა. მისი პუბლიკაციები არაერთხელ ქვეყნდებოდა და ქვეყნდება საზღვარგარეთის ჟურნალებში.

მინდა ყველას ვამცნო ამ პატარა ქალბატონის განვლილ ლამაზ და წარმატებულ გზაზე.

გასავლელი? გასავლელი ჯერაც ბევრია!...

შტრიხები მისი ცხოვრებიდან:

წარმატებები სკოლის ასაკიდან დაიწყო. გამორჩეულად სწავლობდა სკოლაში. პარალელურად სამუსიკო სკოლაში დადიოდა და წარმატებულ მოსწავლედ ითვლებოდა. კლასიკური მუსიკის მოყვარულთა კონკურსებსა და სხვადასხვა კონცერტებზე უკრავდა ფორტეპიანოზე. 1997 წელს საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში დიპლომი დაიმსახურა.

1999 წელს საქართველოს ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსის დიპლომატი გახდა. 2002 წელს იზა ბუკია მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებელთა მეორე ღია კონკურსზე (საერთაშორისო) მონაწილეობდა და კიდევ ერთი დიპლომი მოიპოვა. 2003 წელს მან ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის სერთიფიკატი მიიღო. 2000-2004 წლებში სწავლობდა ო. თაქთაქიშვილის სახელობის ფოთის სამუსიკო სასწავლებელსა და მ. ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებელში. 2004 წელს მიენიჭა მუსიკის მასწავლებლისა და კონცერტმეისტერის კვალიფიკაცია მ. ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის მიერ.

წარმოიდგინეთ ეს ნიჭიერი პიანისტი გოგონა წარმატებული განა მარტო მუსიკაშია, არამედ ცნობილი მეცნიერი და მკვლევარია, მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი განათლებულობის დასტურია დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში. მან ჯერ ბაკალავრის ხარისხი დაიცვა ბიზნესის ადმინისტრირებაში (მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა) – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდგომ კი მიიღო მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში (საერთაშორისო ეკონომიკა) – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხოლო, სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკაში (ეკონომიკური პოლიტიკა) – ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში დაიცვა და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

უნივერსიტეტში სწავლისას სტიპენდიანტი სტუდენტი იყო. არის რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია, როგორც საქართველოში, ასევე სინგაპურში, რუმინეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში (დუბაი), საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე მონაწილეა რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა, რომელიც ეხებოდა გლობალიზაციის გამოწვევებს ეკონომიკასა და ბიზნესში.

2009 წლიდან იზა ბუკია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემოსავლების სამსახურში მუშაობს სხვადასხვა პოზიციაზე (მთავარი ანალიტიკოსი, ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის განყოფილების უფროსი. ვაკე-საბურთალოს სექტორის მ/შ ოფიცერი), იგი ასევე გადასახადების ადმინისტრირებისა და საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის სალექციო კურსის მიწვეული ლექტორია საქართველოს უნივერსიტეტში.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ის უპირველესად დედაა და მეუღლე. იზა ძალზე პატარა გოგონა იყო, როდესაც სიყვარულით შექმნა ლამაზი ოჯახი ნოჯიხეველ ლადო აბრამიასთან. ის ცნობილი ოჯახის – მაია ფოფხაძისა და ლერი აბრამიას რძალია. იზა და ლადო 2 შვილის მშობლები გახლავთ. უფროსი ვაჟი გიორგი მე-10 კლასელია, ანა კი წელს პირველად წავიდა სკოლაში. ვისურვებდი ორივენი დედასავით გამორჩეულები გამხდარიყვნენ... ოჯახები ხარობენ იზას მიღწევებით. ისინი მისი ყოველი წარმატების თანაზიარნი გახლავთ.

მიღწევები, წარმატებები ისე არ მოდის, ეს რჩეულთა ხვედრია, რომელიც დიდი შრომის, სწავლის, უძილო ღამეების საფასურია.

იზა, ჩემო ლამაზო ქალბატონო! შენი ცხოვრების გასავლელი წლები კიდევ უფრო ლამაზი, მშვენიერი და წარმატებული ყოფილიყოს.

გაზაფხულია იზა. შენი და შენი ცხოვრება გაზაფხულივით მშვენიერი ყოფილიყოს. ბედნიერ დღეთა სიმრავლე გაჩუქოს უფალმა.

გვერდი მოამზადა ნანი კილასონიამ.

ქალს და მარტს გაზაფხული

სტუმრად ჭიქა ყავაზე ანა კვაშილავასთან

მოგესალმებით, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. თქვენ ულამაზესი, კაშკაშა გოგონას დედა და ბედნიერი ქალბატონი ბრძანდებით. მიამბეთ თქვენზე.

–მივესალმები მკითხველებს, ყველა ქალბატონს ვულოცავ გაზაფხულის ქალურ დღესასწაულებს, გისურვებთ მუდამ საინტერესონი იყოთ.

ერთი უბრალო „ქალი“ ვარ. განათლებით ფსიქოლოგი, მყავს მეუღლე და წლინახევრის მართა.

ვმუშაობ ხობის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში: შშმ. პირებთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალისტის პოზიციაზე. რაც მოიცავს შშმ. პირებზე გარკვეული სტატისტიკის წარმოებას, მათი შესაძლებლობების მოძიებას და სასპორტო, სახელობო, თუ სახელოვნებო შესაძლებლობების შეთავაზებას. სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში ცენტრის მიერ ხელშეწყობას.

რთულია საუბარი საკუთარ თავზე, ვთვლი, რომ გულღია, მიმნდობი ადამიანი ვარ. ვცდილობ კომფორტული ვიყო გარშემომყოფთათვის და, ალბათ, ეს მეხმარება სამსახურშიც, სახლშიც და საერთოდ საზოგადოებაში, რომ მთვლიან მისაღებ ადამიანად. რათქმაუნდა მაქვს უარყოფითი თვისებები, ერთს დავასახელებ. ვარ „გულმავიწყი“, რაც პრობლემებს მიქმნის საქმიანობაში თუ ურთიერთობაში.

მეგობრები მეუბნებიან, რომ ჩემში მოსმენის უნარს აფასებენ, მართლა შემიძლია საათობით მოვუსმინო სხვას, პრობლემის ან სიხარულის გაზიარების დროს, მგონია რომ ეს მას სჭირდება (მეც მიყვარს ბევრი ლაპარაკი).

რა გჭირდებათ ბედნიერებისთვის?

–ბედნიერებისთვის მჭირდება ბევრი ბედნიერი ადამიანი. მარტო ჩემი მიღწევით ან პირადი სიხარულით არასოდეს ვარ კმაყოფილი, მაშინვე გამახსენდება თუ ვინმე მყავს გულში დარდად და მაღონებს ეს ყველაფერი. თუმცა ცალსახაა, რომ ბედნიერი ვარ ჯანმრთელი ოჯახით, ვგულისხმობ არა პირდაპირი გაგებით, არამედ იმას, რომ ჩემი პატარა სახლი ნამდვილად იტევს ბევრ სიყვარულს და ძალიან ცოტაა მასში შური ან მტრობა, ეგოიზმი ან სიძულვილი. ამით ბედნიერი ვარ. ბედნიერი ვარ, რომ მყავს ნანატრი მართა, რომ შეცდომების არ მეშინია, რომ არ ვიცი ბევრი რამე, მაგრამ რახან ვიცი რომ არ ვიცი, ვფიქრობ, ნელ-ნელა შევავსებ ამ არ ცოდნას, ზოგს ვისწავლი, ზოგს ცხოვრება მასწავლის, ზოგსაც გამოცდილება.

ამბიციური ხართ?

–ვფიქრობ ვარ რაღაც დოზით, მაგრამ ჩემი თავი ბევრჯერ გამომიჭერია საფრთხეში, სადაც ნულია ამბიცია, მოტივაცია და სურვილი ვაკეთო რამე. ბევრჯერ ჩამიქნევია ხელი საქმეზეც და ადამიანზეც, ამბიციური ალბათ არ ჩაიქნევდა....

კაშკაშკა გოგონას ბედნიერი დედა ხართ. რას ურჩევდით ახალგაზრდა დედებს?

–მე ახალგაზრდაზე მეტად ახალბედა დედა ვარ (დედაჩემს ჩემს ასაკში 4 შვილის დედობა ამშვენებდა) ვფიქრობ, დედობა დავიგვიანე, თუმცა ყველაფერს აქვს დადებითი მხარე, უფრო გააზრებულად ვეკიდები ამ „პროფესიას“, მუდმივად განვითარება და წინსვლაა საჭირო დედობისთვის, არის დღეები, როცა ვამბობ, რომ კიდევ არ ვყოფილვარ მზად ამისთვის, ვპოულობ უამრავ შეცდომას ჩემს მიდგომებში და ეს მაშფოთებს, ვცდილობ ლაღი იყოს მართა, თავისუფალი და სიყვარული შეეძლოს, ყველასა და ყველაფრისადმი, საერთოდ მგონია, რომ სიყვარული მარტო სწორ და მართალ გზაზე იზრდება და თუ ამას შემაძლებინებს უფალი, ვიფიქრებ, რომ მართალი გზით დავდივარ.

ქალიც და მარტიც გაზაფხულია?

–ნამდვილად, ქალიც და მარტიც გაზაფხულია, ყველაფრის საწყისი, მშვენიერი და ამავდროულად გიჟური. ახალს ვერაფერს ვიტყვი ამ ერთობლიობაზე, მხოლოდ განვმეორდები:“გაზაფხული პატარძალივით მორთულაო“ ბევრჯერ გამიგია, მინდა ყველა ქალს საინტერესო, ბედნიერებით სავსე დღეები ვუსურვო...

ახალბედა დედებს კი მინდა ვუსურვო ბევრი თავისუფალი დრო, რომ გასცენ კიდევ უფრო ბევრი სიყვარული, რაც აუცილებლად გავრცელდება.

გულჩვილი ხართ? ეჭვიანი?

–კი გულჩვილი ვარ ძალიან, ყველაფერს განვიცდი იმაზე მეტად ვიდრე საჭიროა, უფრო მეტად ბედნიერების და სიხარულის განცდებში ვარ გულჩვილი. ხშირად პრობლემები გვაძლიერებენ და არ გვაქვს იმის ფუფუნება ცრემლებით დავხვდეთ.

მეხუმრებიან, რომ ყველაფერზე ვეჭვიანობ. მაგალითად დედამ პირველი მე დამირეკა თუ რომელიმე სხვა შვილს. აი, მეუღლესთან მგონი არ ვარ ეჭვიანი, უფრო წუწუნას ვიტყოდი, სულ მაქვს პრობლემა, რომ ხარისხიანად ვერ ვატარებთ ერთად დროს და ჩვენი დროის მეტი ნაწილი მის სამსახურს მიაქვს და არა ჩემს საოჯახო საზრუნავებს, თუმცა ჩემს გვერდში დგას და ცდილობს არსებული თავისუფალი დრო თანაბრად გაგვიყოს მე და მართას.

რამდენი ხნით შეგიძლიათ გაებუტოთ ქმარს?

–საერთოდ არ შემიძლია ვინმეს გავებუტო, ყველაფერს პირდაპირ ვიტყვი რაზეც ვბრაზობ და მორჩა, მგონია ამით მაგარი საქმე გავაკეთე. ზოგადად ძალიან რთულად ვკარგავ ადამიანებს, მაქსიმალურად შემიძლია მოვითმინო და არ გავბრაზდე.... თუ მაინც მოხდება რომ გავბრაზდი, ვეძებ ჩემს თავში სხვა ვერსიას, სადაც შესაძლოა რომ ვცდები...

ეს ცუდია: ამ წესებით სულ მე ვარ მტყუანი, მაგრამ... „ღმერთმა უკეთ იცის“- ამ პრინციპით უფრო ბედნიერი ვარ.

ოცნებობთ?

–ოცნებობ ან უფრო ვნატრობ, რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს... ამ ბოლო დროს საქართველოში და არამარტო, განვითარებულმა მოვლენებმა ბავშვებთან მიმართებით შემიცვალა ნატვრები. მივხვდი რომ, სადაც საფრთხეშია თუნდაც ერთი ბავშვის ცხოვრება ან უბრალოდ მისწრაფებები, საფრთხეშია ჩემი შვილიც და ზოგადად მომავალი. ჯანმრთელობა კი მართლა უპირატესია ყველაფერზე.

როგორი ქალბატონები მოგწონთ?

–მომწონს ძლიერი ქალები, რომლებიც იბრძვიან, სხვის ცხოვრებას ცვლიან, წარმატება მოაქვთ და ბედნიერებას გასცემენ, მადლობა უფალს ასეთი ბევრია ჩემს გარშემო.

როგორც ყველას, ალბათ, მეც დედა მაძლევდა და მაძლევს დღემდე ბევრი რამის მაგალითს, რომ შეუძლებელი არაფერია და მთავარია, ერთად ყოფნა, სიყვარული და სიმართლე.

ერთი ლამაზი დილა?

–ყოველი დილა ლამაზია, რომელიც უკვე დადგა... ასე ვფიქრობ, მაგრამ ყოველთვის ასე არაა მოქმედებაში. ლამაზია დილა, როცა მართა მაღვიძებს და კარგი ამბების ან საქმეების მოლოდინში ვარ...

დიდი მადლობა.

გილოცავთ დედის დღეს...

ნომრის სტუმარია ბატონი ლაშა გვასალია–ქართული სიტყვის მოჭირნახულე, ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, მუდამ გლეხი და მუდამ ინტელიგენტი მწერალი, პოეტი, უდიდესი პასუხისმგებლობით შებოჭილი და საქვეყნოდ ტვირთმოკიდებული შემოქმედი.

დედიკო,შენი სიყვარულის უპირველესობით ვულოცავ ყველა კეთილისმყოფელ ადამიანს, დედამიწის ზურგზე, დედის და ქალთა დღეს! განა არ ვიცი, რომ მშობლიური ბედისწერა აღემატება ჩემს გონიერებასა და შესაძლებლობას, ეს უფლისეული შეწონილობაა, მაგრამ ერთი რამ ცალსახად ვიცი: დედა-შვილობაზე სასწაული არაფერია დუნიაზე. რამეთუ იგია საწყისი სიცოცხლისა და ყოველივე ამაღლებულის შეგრძნებისა, რასაც ადამიანად და ძეხორციელად გამოვყავართ, უკიდეგანობის ჯერაც შეუცნობი ქაოსიდან. მიყვარხარ, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო დედა, დე, დედიკო და რა ვიცი, ყველაფერო... შენი სიზმრების წინასწარმეტყველი საგონისის ტყვე ვარ მუდმივად. შენი ყოველდღიური დარიგებების ღიმილით თუ „წყრომით ამტანი“. შენი მთავარი საწუხილო ჩემი დალევა და დათრობაა დღენიადაგ, მთვრალ კაცს ზღვა მუხლებამდე სწვდება და შეცდომა ერთგული ძაღლივით ფეხდაფეხ დაჰ ყვებაო. ჰაი, გიდი, ნამდვილად ეგრეა, მაგრამ რავქნა, ჩემო ლამაზო ქალბატონო, რომ არ დავლიო, იმ ცნობილი მეგრული ლექსისა არ იყოს, ქეიფს ქალივით გაქცეულ უგერგილო კაცზე რომაა დაწერილი, ალმაცერად შემომხედავენ მეც, კაცობას რაღაც უკლიაო, იტყვიან და საკითხვისნიშნო შვილი, არც შენ მოგეწონება და გაგიხარდება, ვიცი ეგ!

ქურქულებ სულ, პირი ქვისკენ მიქნია და ამდენი თამადობით ავი რამე არ მოიკიდო, თორემ შენს მერე ყველაფერი გაშავდება და მარადიულად გაწყვდიადებაო ჩემთვის!.. ეჰ, დედი, დედი, ამისაც გამეგება ყველაფერი და შენი სადარდისისაც, მაგრამ რაც საუკუნეობრივად წესისა და რიგის საზომად დაწესებულა, ვერსად წაუვალთ ჩემისთანა მოტრადიციენნი, თორემ ყველაფერი ერთი რომაა ისეთი კაცებისთვის, არა აქვს ასეთ რამეებს მნიშვნელობა.

ჰოდა, მივყვები მეც საწნახელიდან გადმოღუდღუდებული ღვთაებრივი სითხის საწიერს და ცავმაღლობ საჩემძალოდ „გარეკახური მრავალჟამიერივით“... მოვკვდები და ერთი მაგისიც, კეთილმოსაგონრად მაინც წავალ და ვიბუდავებ იქ, ჩემს ღვთაებრივ მამასთან, ჩემს უთბილეს ბებიებთან და ბაბუებთან, ჩემს ჯანიკოსთან და აგერ გუშინ სიცოცხლისგან გაქცეულ გეროსთან... ეჰ და ეჰ... განა იქ რამე გამიჭირდება, მაგრამ ჯერ არსად რომ არ ვაპირებ წასვლას? სანამ საჩემწილო წუთისოფელს ბრდღვნას არ ვუზამ, სანამ ბაბუისა და დიდი პაპის ამქვეყნიურ სიყვარულს ბოლომდე არ შევიგრძნობ, არსაითკენ გამხედავი არა ვარ. მეც მინდა მოხუც- პაპის ბუქი გადავიყარო ჯაფით დაღალული მუხლებიდან. ამისთვის კიდევ, შენი დიდხანს ჯანმრთელად და კარგად ყოფნაა აუცილებელი, დედაჩემო. ისე, იმ სიზმრების ყველივით ამომყვანი „ვიღაცისთვის“, უმორჩილესი სათხოვარი მაქვს: კარგი რამეები დაგასიზმროს, ისეთი რამეები, შენ რომ უშფოთველად და გახარებულად გამყოფებს, თორემ სიზმრით ძლეული და დამარცხებული არავინ შემხვედრია ჯერაც...

სულიერი კულტურის სფეროში განუსაზღვრელი და მზერაშეუწვდომია ადამიანის მნიშვნელობა, მაგრამ დედის როლი, მამის ძალა, ხერხემალია საკაცობრიო სიმაღლეებისა. მიყვარხარ, ჩემო პატარა და მზეთვალიანო დედიკო... მიყვარხარ ჩემო ღვთისმშობელივით სიკეთის მომნაგრებელო დია... მიყვარხარ მარადიულ მზერაში შვილებ და შვილიშვილებ ჩარჩენილო, ქალბატონო.. დედა-შვილურ სიყვარულს ხომ არ სჭირდება არც ჯადოსნური სასუმელი და არც სხვა რამ!.. ყველა გარდაცვლილი დედების მარადიული ხსოვნა-არდავიწყება, ძვირფასო მეგობრებო...

ჩვენი ცოცხალი ანგელოზები, ჩვენი დედიკოები კი, ძალიან დიდხანს გვიმყოფოს მამაზეციერმა!..

გილოცავთ 3 მარტს, დედებს გაუმარჯოთ, დედებს!..

გვერდი მოამზადა ნაირა ბერაიამ

სულთათანა

როლანდი (ვიტალი) კემულარია

ხობის მუნიციპალიტეტს გამოაკლდა ერთ-ერთი ჭეშმარიტი პატრიოტი და მოქალაქე, საქართველოს ორგზის მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, ისტორიკოსი, აგრონომი, როლანდ /ვიტალი/ კემულარია, რომელიც დაიბადა და აღიზარდა სოფელ ხიბულაში, სოციალისტური შრომის გმირ შალვა კემულარიას და პედაგოგ მიმი დანელიას ღირსეულ ოჯახში...

მნიშვნელოვანია ვიტალის წვლილი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ხობის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და განვითარებაში...

ის იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან მებრძოლი, უშუალო მონაწილე და ინიციატორი თითქმის ყველა ინფრასტრუქტურული პროექტისა, რომელიც განხორციელდა 2003-2012 წლებში ხობის მუნიციპალიტეტში... თავისი პიროვნული თვისებებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე ვიტალი იყო მისაბაძი სახე და მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ხალხის რჩეული... მას არასოდეს გამოუყენებია დეპუტატის მანდატი პირადი ინტერესებისა და კომფორტისთვის... უანგაროდ ემსახურა ხობსა და მის ამომრჩეველს... ჭირსა და ლხინში მათთან გვერდში მდგომი, ჩუმად და უხმაუროდ დახმარებია შეჭირვებულებს, დაუფინანსებია სტუდენტების სწავლის საფასური, ასევე გადაუხდია, გაუგებრობაში მოხვედრილ ადამიანებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გადაეხადათ საპროცესო გირაოს თანხა... ამას ყველაფერს აკეთებდა ალალი და სიკეთით სავსე გულით... ასე დაამახსოვრა თავი ხობელებს... დასანანია ასეთი კეთილშობილი ადამიანის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა...

კიდევ რამდენი კარგი და მნიშვნელოვანის გაკეთება შეეძლო.. დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოსთვის იბრძოდა და ამ ბრძოლას მისი მეგობრები და თანამოაზრეები გააგრძელებენ.

კვალი ნათელი, რომელიც დატოვა ვიტალიმ, იქნება იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს ღირსეულმა ადამიანმა.

მეგობრები

ლარისა ბოხუა–ბერაია

თქვენ მუდამ ვარდისფრად დარჩებით...

შავი ფიქრები მოაპობენ სივრცეს...

დრო ჩქარა მიიპარება...

მწუხარება არ ნელდება...

სიკვდილმა კიდევ ერთხელ სძლია ლამაზ სიცოცხლეს და ჩვენგან წავიდა კოლხური სილამაზით გამორჩეული, ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ღირსეული წარმომადგენელის, ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცის (დიდება მის ხსოვნას) ვალტერ ბერაიას დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი, ღირსეული შვილების ემელიანე, თამარ და დავით ბერაიების საფიცარი დედა და ვარსკვლავბიჭუნას დავით კვარაცხელიას საოცარი ბებია, მასწავლებელთა მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, მრჩეველი, მეგობარი ქალბატონი ლარისა ბოხუა–ბერაია.

თითქოს ზეცას გაკრთომია ფერი, თითქოს ხეებს დაუხრიათ თავი... ირგვლივ სიჩუმე გამეფებულა, ცრემლების უსაზღვრო ზღვა დამდგარა, ატირებულა დედამიწა, სევდას შეუპყრია ჩვენი გულები. წავიდა ადამიანი, რომელიც ძალიან გვიყვარდა.

წავიდა ლამაზად, უხმაუროდ, ყრუ ტკივილითა და ჩუმი სევდით...

მარადისობის ბურუსსა და მშობელი მიწის თბილ წიაღში ჰპოვა სიმშვიდე საყვარელ ადამიანთან...

გადასახლდა სამუდამოდ...

დრო ჩქარა მიიპარება... ორმოცი დღეც გაილია...

მოვიდა უშენოდ გაზაფხული, უზომოდ ცრემლიანი და ტკივილიანი გაზაფხული „რია-რია გაუმართავთ ჩიტებს“...

ტირის გული მოყვასისა და ამ ტირილს თან ახლავს გასული წლების ლამაზი მოგონებები.

ჩემო დიდო ქალბატონო, მე ისევ იქ მეგულებით უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ მიმოფანტული იებისა და ენძელების ირგვლივ იქ, ცისარტყელასავით ფერად-ფერადი ვარდების ხეივანში ხელებაკაპიწებული... იქ ბუხართან მოფუსფუსე სტუმარ-მასპინძლის მოლოდინში, ლამაზი ყურძნის მტევნებივით ჩამოსხმული თითებით აკინძული ნაირ-ნაირი ჩირებით, უგემრიელესი კოქტეილებით, „ნალივკებით“, „ტილისკვერებით“, ტრადიციული სუფრებით...

მომენატრებით, უსაშველოდ მომენატრებით...

თქვენ გაგიმარჯოთ, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. თქვენზე უკეთეს მოყვარეს, ახლობელს, მეგობარს ვერ ინატრებდა ქართველი კაცი.

კარგად ვიცი თქვენი პიროვნული თვისებების წარმოსაჩენად და შენეული ლამაზი პორტრეტის შესაქმნელად ფერების ძებნა არაა საჭირო. თქვენ მუდამ ვარდისფრად დარჩებით.

საოცარი დღე იყო 4 თებერვალი. ყვავილების ფეიერვერკი, თავდახრილი მთელი სოფელი და ცრემლების ზღვა მიგაცილებდათ სამუდამო სამყოფელისკენ. თქვენ ეს დაიმსახურეთ.

ნაირა ბერაია.

დიანა სალაყაია

კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა... დაუნდობელი წუთისოფელის სავალი გზა მოილია და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა დიანა სალაყაიამ... ეს სახელი და გვარი ხობელებისთვის ბევრის მთქმელი იყო არა მარტო ხობელებისთვის.

1943 წელს სოფელ პირველ ხორგაში პედაგოგების ლინა და ივლიანე სალაყაიას ოჯახში დაიბადა. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტი და მშობლიურ სკოლას პედაგოგად დაუბრუნდა.

ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაშინდელ ხელმძღვანელობას და განვლო გზა პედაგოგობიდან საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის მდივნობამდე. ვიდრე ამ გზას გაივლიდა იყო პიონერთა სახლის დირექტორი, კომკავშირის რაიკომის I მდივანი.

ყველგან და ყველაფერში გამრჩეული იყო და ღირსეულ კვალს ტოვებდა.

ობლობაში გაზრდილს დიდი ადამიანური თვისებები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, სამსახურებრივი მდგომარეობა მეტ პირდაპირობას და სიმკაცრეს ითხოვდა, მუდამ გვერდში ედგა ქვრივობოლს, შეჭირვებულ ადამიანებს.

ახალგაზრდების დაკვალიანებასა და თანადგომაში ბადალი არ ჰყავდა... მისი განსაწავლულობის, გონიერებისა და ორგანიზატორული ნიჭის თაყვანისცემა თაობიდან თაობას გადაეცემა.

ცხოვრებამ არ დაინდო, მის სახლ-კარს დიდმა ტკივილმა და საწუხარმა გადაუარა. ორი ახალგაზრდა ძმა მიაბარა მიწას, დედამისა და ძმების შემდეგ ვერა და ვერ გაიხარა, ბედნიერება ვერ შეაკოწიწა, ვიდრე საფიცარი ძმისშვილების ღირსეული ცხოვრებით გაიხარებდა...

დრომ წაართვა ყველაფერი, გარდა ძმისშვილების ცხოვრებით, ნიჭიერებით, სიყვარულით სავსე ოჯახებითა და პატარების სიხარულით ტკბობისა. მასი მომავლისკენ მომზირალი თვალები ძმების მონატრების ცრემლებმა ამოაშთო, დაილია და ერთადერთი ძმის, რძლისა და ძმისშვილების სითბოთი და სიყვარულით, საზოგადოების პატივისცემით გარემოსილი გაეცალა ცოდვა-მადლიან წუთისოფელს.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული, სანთელ-საკმეველი უნათებდეს გზას ცათა სასუფეველისკენ, მის სახელს დავიწყება არ უწერია...

მერი ლაგვილავა

ანრი ჯგერენაია

თვალცრემლიანი ვწერ ამ სიტყვებს, 12 მარტი, შენი დაბადების დღეა, დღე, როდესაც სხვადასხვა სიმძიმის მწუხარებით, ტკივილით, დარდით და სულში სიცარიელით დამძიმებული ადამიანები შენს საფლავთან თვალცრემლიანები ვიკრიბებით, რათა მოგილოცოთ შენი დაბადების დღე, რომელსაც მე-6 გაზაფხულია უშენოდ ვხვდებით.

2004 წლის 12 მარტი ყველაზე ლამაზი და ბედნიერი დღე იყო მშობლების ლელა და გიასთვის და შენი ახლობლებისთვის, სიხარულითა და სიყვარულით აღნიშნავდნენ შენს დაბადების დღეს, ვაი, რომ მხოლოდ 11 წელი და 1 თვე ამშვენებდი ამ წუთისოფელს ანრი!

შენ ღმერთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი იყავი და ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე ისევ ღმერთმა გიხმო თავისთან. მოულოდნელად, ტრაგიკულად წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, მწუხარება და სიცარიელე. მენანება შენი სვეგამწარებული მშობლები, ახლობლები... განსაკუთრებით კიდები ნინო და მარიამი, სვეგამწარებული ბებია ტატიანა, ბიძია რომანი, რომელსაც ხშირად გულშემატკივრობდი, ჭადრაკის დაფასთან. დარდითა და ცრემლებით დამძიმებული გამზრდელი თინიკო მამიდა...

როგორ დასანანია შენი ასე ადრიანად შეწყვეტილი სიცოცხლე. უკვე დიდი ხარ, დისშვილიც გყავს პატარა ანდრია, რომელიც შენს სიყვარულს ახლა სწავლობს.

დღეს იმიერშიც მე-17 წელს მოგილოცავენ. ჩვენ კი აქედან გილოცავთ საფლავზე სურათებით, ზღვა ყვავილებით და ლამაზი მოგონებებით. შენი ხანმოკლე ცხოვრების ეპიზოდებით, ძალიან გვიჭირს შენი წარსულში მოხსენიება.

უფალს შევთხოვთ, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფეველში.

გურამ კვიკვინია, საჭადრაკო კლუბ „ლაზიერის“ წევრების სახელით.

ალექსანდრე (აკო) ლოლუა

ზუსტად ერთი წლის წინ, 28 თებერვლიდან 9 მარტამდე, სიკვდილს ებრძოდი. გვეგონა, რომ გაიმარჯვებდი. გვჯეროდა შენს უამრავ ჯილდოსა და სიგელს სიკვდილზე გამარჯვების ერთ ფურცელსაც მიამატებდი. ჩვენი ლამაზი, ნიჭიერი, ოქროს მედალოსანი ბიჭი, უსაზღვრო სიხარულის, სიყვარულის მატარებელი ჩვენთან იქნებოდი. თუმცა შენ ისევ ჩვენთან ხარ, ოღონდ სხვა განზომილებაში დამკვიდრებული....

დღეს 9 მარტია! დღე წუთისოფლიდან მარადიულ სასუფეველში შენი გადასვლისა, დღე უმძიმესი სატკივარისა, დღე ჟამთასვლის გარინდებისა... მას შემდეგ პირველად დადგა ისევ ეს დღე, შენი სუნთქვის გარეშე, ჩვენს აჩქარებულ სუნთქვად ქცეული... პირველად დგება ისევ გაზაფხული, წვიმების თქეშში გახვეული... მონატრებული, მძიმე ნაბიჯებით მივუყვებით შენთვის გაკვალულ ბილიკს, შენთან სასაუბროდ, სანუგეშოდ და შენს დასავანებლად ცათა სასუფეველში.

დღეს შენი დღეა! არა მშვიდობით, არამედ მხოლოდ შეხვედრამდე ჩვენო უსაშველოდ მონატრებულო ალექსანდრე!

მზია ლოლუა

„ლეკვი ლომისა სწორია“

პროფესია, როგორიც არ უნდა იყოს, თუ შეიყვარებ და ბოლომდე უერთგულებ უეჭველად მოგიტანს ავტორიტეტს და პატივისცემას.

ჭალადიდი ეთერ დარჯანიას დედაა.

ამაყად დააბიჯებს სოფლის კუთხე-კუნჭულში დაუღალავად, მუხლჩაუხრელად, ღვაწლმოსილი მუშაკი ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული, ხელმადლიანი „ოსტატი“, „პიროვნული ხიბლით გამორჩეული, ჩინებული სპეციალისტი მედდა–სოფლის ექთანი, დიდებული ქალბატონი ეთერ დარჯანია.

ჭეშმარიტებაა, სიყვარულში სულს რამდენადაც ხარჯავ, იმდენად ფასობს შენი ღირსება, ეთერ დარჯანიას ნამდვილად აქვს კაცთმოყვარეობის ნიჭი და ისიც იცის, ხალხს თავი როგორ შეაყვაროს. იგი მეგრელი ქალბატონის ჩვეული კეთილშობილებით, სიმდაბლითა და ადამიანური ღირსებით გამოირჩევა.

სწორდ ამ თვისებების წყალობით შეაღო თანასოფლელების გულის კარები და დამსახურებული ადგილიც დაიკავა, იგი სოფლის კოლორიტი ქალბატონი გახლავთ, რომელიც დღესაც ჩვეული რიტმით აგრძელებს მუშაობას, როგორც სანდო, უღალატო და სიკეთის მთესველი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

ქალბატონო ეთერ, კიდევ დიდხანს იარეთ ამაყად. გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს. ყოველი დღე თქვენთვის წარმატებული და ბედნიერი ყოფილიყოს.

თქვენ გმირი ხართ.

იყავით მარად მხნედ.

მიყვარხართ!

ნაირა ბერაია.

ექსპრომტად

დედას...

ისე წახველ, ერთი სიტყვაც ვერ გითხარი,
ვერ შევძელი ტირილით რომ რამე მეთქვა,
ახლა ვნანობ, გული მწყდება, რომ ვეღარ ვთქვი
თუ რა გმირი, საამაყო დედა მყავდა.
ფუსფუსებდი შენთვის ჩუმად, უხმაუროდ,
ირგვლივ შენი არსებობით არვინ წუხდა.
ვერ გითხარი ვერაფერი, მაგრამ იცი?
რომ ჩემს გულში შენი წასვლით სისხლი დუღდა...
შენი ხსოვნა სანთელივით გზას მინათებს.
ბოღმა მახრჩობს, მწარე ცრემლით ვინამები,
ჩემთვის ჩუმად ყველასაგან დამალული.
გზას გავყურებ უიმედოდ, როგორც გზირი
შენი წასვლით ბავშვივით ვარ დაჩაგრული.
საამაყო, გმირო დედავ!
დიდ მადლობას წრფელი გულით ახლა გიხდი...

ნაირა ბერაია.

სპორტი

ხობელი ნუგზარ წურწუმია საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, კიევის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ირანელი აბასპოურაგანი და 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ნუგზარს, მის მწვრთნელებსა და გულშემატკივარს ამ დიდ გამარჯვებას და მომავალ წარმატებებს უსურვებს მას.

კიევის საერთაშორისო ტურნირზე, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში წარმატებით იასპარეზა ხობელმა **ჯონი ხეცურიანმა**, მან 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ჯონის, მის მწვრთნელებსა და გულშემატკივარებს გამარჯვებას და მომავალ წარმატებებს უსურვებს.

საქართველოს ზამთრის ღია ეროვნულ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ხობის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. **ლამზირა თორდიამ** ბირთვის კვრაში მე-3 ადგილი დაიკავა. ხოლო **ლუკა გულუა** 60 მ. გარბენში ფინალშია. (მწვრთნელი ინდირა გრიგოლიანცი).

ვულოცავთ მათ და მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებთ მათ.

ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში ჭაბუკთა შორის, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა 60 კგ. წონით კატეგორიაში **დემურ ქაჯაიამ,** ხოლო მესამე ადგილი **რევიკო ადამიამ** 60 კგ. წონით კატეგორიაში.

ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკებს შორის, სადაც ხობელმა სპორტსმენმა **ირაკლი ლეფსაიამ** 88 კგ. წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ქალაქ გურჯაანში გამართულ საქართველოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ, საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა.

I ადგილი–**მაცი ზარანდიამ** (მწვრთნელი ალმასხან ხუნჯუა) და **ვახტანგ ლოლუამ** (მწვრთნელი სურაჯი გვასალია) მოიპოვეს.

III ადგილი–**ენვერ კილასონიას** (მწვრთნელი ალმასხან ხუნჯუა) ხვდა წილად. გამარჯვებულ და პრიზიორ მოჭიდავეებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.